ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მუნიციპალიტეტის
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N29

სხდომის ჩატარების თარიღი: 2024 წლის 23 მაისი, 15:00 საათი
სხდომის ჩატარების ადგილი: ადგილობრივი თვითმმართველობის შენობა, რუსთაველის გამზ. N3, საკონფერენციო დარბაზი, ოთახი N210

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 29-ე სხდომას თავმჯდომარეობს საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ბატონი ბაქარ მახარაძე.

ესწრებოდნენ:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრები: კომისიის თავმჯდომარე ბაქარ მახარაძე.

კომისიის წევრები:
გია ბასილაძე, მარეხი ნიჟარაძე, ელეონორა არჩაია, პაატა ლილუაშვილი, მერაბ ჭოხონელიძე, ირაკლი შენგელია, გიორგი კილაძე.

სულ: 15 წევრიდან 8 წევრი.

არ ესწრებოდნენ:

გაგა მანაგაძე, დავით ბახტაძე, რომან ქვაჩაკიძე, კობა გურული, მაია სიმონიძე, ზაქრო მამასახლისი, ამირან კოპალეიშვილი.

სულ: 8 წევრი

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ: საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსი ბ-ნი **დ.ნიშნიანიძე,** ასევე ააიპ-ების და შპს-ების ხელმძღვანელები.

სხდომა გახსნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ბაქარ მახარაძემ:** „მოგესალმებით მეგობრებო, როგორც მოგეხსენებათ, დღეს ჩვენ ვატარებთ საფინასო-საბიუჯეტო კომისიის მორიგ, სხდომას. დღის წესრიგი და მასალები კომისიის წევრებთან წინასწარ გადმოიგზავნა. წარმოგიდგენთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის N29 სხდომის დღის წესრიგის შემდეგ პროექტს:

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების ანგარიშის განხილვა

ბატონი დავით ნიშნიანიძე
ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო პოლიტიკისა
და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი

2. საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის მიერ 2023 წელს გაწეული მუშაობისა და 2024 წლის ღონისძიებების შესახებ

ბატონი დავით ნიშნიანიძე
ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო პოლიტიკისა
და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი

3. ა(ა)იპ „მუნიციპალური ინსპექციის" მიერ 2023 წელს, 2024 წლის იანვარ-აპრილში გაწეული მუშაობის და 2024 წლის დასაფინანსებელი ღონისძიებებისა და პროგრამების შესახებ

ბატონი დემურ ინანეიშვილი
ა(ა)იპ „მუნიციპალური ინსპექციის" ხელმძღვანელი

4. ა(ა)იპ „ქუთგანათების სერვისის" მიერ 2023 წელს, 2024 წლის იანვარ-აპრილში გაწეული მუშაობის და 2024 წლის დასაფინანსებელი ღონისძიებებისა და პროგრამების შესახებ

ბატონი მალხაზ ბასილაძე
ა(ა)იპ „ქუთგანათების სერვისის" ხელმძღვანელი

5. შპს „ქუთაისის მე-4 შერეული პოლიკლინიკის" მიერ 2023 წელს, 2024 წლის იანვარ-აპრილში გაწეული მუშაობის და 2024 წლის დასაფინანსებელი ღონისძიებებისა და პროგრამების შესახებ

ქალბატონი ნინო ჩალაძე
შპს „ქუთაისის მე-4 შერეული პოლიკლინიკის" ხელმძღვანელი

6. მიმდინარე საკითხები

ღია კენჭის ყრით ერთხმად, დაადგინეს.
დამტკიცდეს კომისიის სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი რედაქციით.

მოისმინეს:

დღის წესრიგის პირველი საკითხი - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების ანგარიშის განხილვა (დანართი ოქმს თან ერთვის)

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ბაქარ მახარაძე:** „დღეს ვიხილავთ მიმდინარე წლის პირველი კვარტლის ბიუჯეტის შესრულებას. დეტალური ინფორმაციის წარმოდგენას ვთხოვთ სამსახურის უფროსს, ბატონ **დ.ნიშნიანიძეს**.

მერიის საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსი დ.ნიშნიანიძე: „ჩვენ კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად აპრილის ბოლოს ვაგზავნით პირველი კვარტლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს საკრებულოში. თავიდანვე აღვნიშნავ, რომ წლის ყველა კვარტალში შემოსავლები თანაბრად, პროპორციულად ვერ გადანაწილდება. პირველ კვარტალში ყოველთვის მცირეა შემოსავლები. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა 2023 წლის 27 დეკემბრის საკრებულოს N79 დადგენილებით. 3 თვის განმავლობაში ბიუჯეტში შევიდა 1 ცვლილება და დაზუსტდა 126416,4 ათასი ლარით. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის 3 თვის ფაქტობრივმა შემოსავალმა (ნაშთის/ფინანსური აქტივის გამოკლებით) 22136,6 ათასი ლარი შეადგინა".

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

კომისიის თავმჯდომარე ბ.მახარაძე: „მასალა გადმოგზავნილი იყო, შეკითხვები თუ გაქვთ.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა **ბაქარ მახარაძემ** დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარეს კომისიის წევრებმა.

მომხრე - 7, წინააღმდეგი - 1.

ღია კენჭისყრით **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების შესახებ ინფორმაცია მიღებულ იქნას ცნობად.

მოისმინეს:

დღის წესრიგის მეორე საკითხი - საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის მიერ 2023 წელს გაწეული მუშაობისა და 2024 წლის ღონისძიებების შესახებ (დანართი ოქმს თან ერთვის).

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ბაქარ მახარაძე:** „ამ საკითხზეც დეტალური ინფორმაციის წარმოდგენას ვთხოვთ სამსახურის უფროსს, ბატონ **დ.ნიშნიანიძეს.**

მერიის საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსი დ.ნიშნიანიძე: „მოგეხსენებათ ჩვენი სამსახურის სპეციფიკა, რომელიც მაღალი დატვირთვით და ინტენსიურ მუშაობას მოითხოვს. განსაკუთრებით დატვირთულია შესყიდვების განყოფილება, რომელიც სახელმწიფო შესყიდვებს და მასთან დაკავშირებულ პროცედურებს ემსახურება. აქ დიდი სიზუსტე და კონცენტრაციაა საჭირო. 2023 წლის შესყიდვების განსახორციელებელად ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიამ სხვადასხვა მომწოდებლებთან გააფორმა 546 ხელშეკრულება, რომელთა საერთო ღირებულებამ შეადგენა 39 828 079,99 ლარი. კონსოლიდირებული ტენდერის შედეგად, რომელის ჩატარებასაც უზრუნველყოფს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო- გაფორმებული ხელშეკრულებების საერთო ღირებულებამ შეადგინა 1 811 759, 16 ლარი. გამარტივებული შესყიდვის მეშვეობით გაფორმებული ხელშეკრულებების ღირებულებამ შეადგინა 3 475 971,74 ლარი, მათ შორის:

ელექტრონული ტენდერის აუქციონის გარეშე (NAT) ჩატარების შედეგად გაფორმებული ხელშეკრულებების შესყიდვის სავარაუდო ღირებულებამ შეადგინა - 36 352 108,25 ლარი. თვითონ შესყიდვების პროცესი კანონმდებლობით მრავალეტაპიანია და სხვადასხვა დონეზე მრავალრიცხოვანი სამუშაოების ჩატარებას უკავშირდება“.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

კომისიის წევრი გ.კილაძე: „შესყიდვების საქმიანობიდან გამომდინარეობს, რომ ბიუროკრატიაა შესამცირებელი“

სამსახურის უფროსი დ.ნიშნიანიძე: „ასე ვერ ვიტყვით, კანონი პროცედურებს მოითხოვს და ამ კუთხით განხორციელებული საქმიანობა დიდი სიზუსტის დაცვას უკავშირდება“.
კომისიის თავმჯდომარე ბ. მახარაძე: „ამ განყოფილებაში საკმაოდ კვალიფიციური კადრებია და კარგად ართმევენ თავს საპასუხისმგებლო სამუშაოების შესრულებას“.
კომისიის წევრი მ.ნიჟარაძე: „შესყიდვების მოცულობა რამდენი იყო გასულ წელს?“
სამსახურის უფროსი დ.ნიშნიანიძე: „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის 2023 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმა შეადგენდა 40 943 810 ლარს“.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა **ბაქარ მახარაძემ** დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარეს კომისიის წევრებმა.

მომხრე - 6, წინააღმდეგი - 2.

ღია კენჭისყრით **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის მიერ 2023 წელს გაწეული მუშაობისა და 2024 წლის ღონისძიებების შესახებ წარმოდგენილი ინფორმაცია ცნობად იქნას მიღებული.

მოისმინეს:

დღის წესრიგის მესამე საკითხი - ა(ა)იპ „მუნიციპალური ინსპექციის“ მიერ 2023 წელს, 2024 წლის იანვარ-აპრილში გაწეული მუშაობის და 2024 წლის დასაფინანსებელი ღონისძიებებისა და პროგრამების შესახებ (დანართი ოქმს თან ერთვის).

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ბაქარ მახარაძე:** „დღის წესრიგის მესამე საკითხის შესახებ დეტალური ინფორმაციის წარმოდგენას ვთხოვთ ა(ა)იპ „მუნიციპალური ინსპექციის“ ხელმძღვანელს, ბატონ დემურ ინანეიშვილს“.

ა(ა)იპ „მუნიციპალური ინსპექციის“ ხელმძღვანელი, დ.ინანეიშვილი: „ჩვენ ძირითადად შემოსავლების მობილიზებას ვემსახურებით. 2023 წელს ჩვენი, როგორც სტრუტურული ერთეულის ბიუჯეტი შეადგენდა 982 ათას ლარს. ძირითადი ხარჯებია შრომის ანაზღაურება და საქონელი და მომსახურება. არაფინანსური აქტივების კლების კუთხით გავწიეთ ხარჯი დაახლოებით 126 ათასი ლარის ოდენობით“.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

კომისიის წევრი ყ.ლილუაშვილი: „წელს რამდენია თქვენი ბიუჯეტი?“
ა(ა)იპ „მუნიციპალური ინსპექციის“ ხელმძღვანელი, დ.ინანეიშვილი: „2024 წელს ხარჯვითი ნაწილი გაიზარდა და გეგმამ 1409300 ლარი შეადგინა. იანვარ-აპრილში ათვისებული გვაქვს 522480 ლარი“.
კომისიის წევრი გ.კილაძე: „ჯამურად რა თანხაა ამოღებული ჯარიმის სახით?“
ა(ა)იპ „მუნიციპალური ინსპექციის“ ხელმძღვანელი, დ.ინანეიშვილი: „მარტო მშენებლობის კუთხით 116 ათასი ლარია ამოღებული, თუმცა დარიცხული გაცილებით მეტია. არის

საურავებიც. ყველა მიმართულებას თავისი პროცედურები აქვს და დარიცხული თანხის შემოსვლას გარკვეული დრო ჭირდება“.

კომისიის წევრი მ.ნიჟარაძე: „წელს საკმაოდ მაღალია დასუფთავების მოსაკრებლის გეგმა, რომელიც 4 მილიონ ლარს აღემატება. რამდენად დაძლევთ ამ პარამეტრის შესრულებას?“

ა(ა)იპ „მუნიციპალური ინსპექციის“ ხელმძღვანელი, დ.ინანეიშვილი: „პირველ კვარტალში 1 მილიონ ლარამდე შემოვიდა და ვფიქრობთ, რომ გეგმა შესრულდება“.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა **ბაქარ მახარაძემ** დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარეს კომისიის წევრებმა.

მომხრე - 7, წინააღმდეგი - 1.

ღია კენჭისყრით **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

ა(ა)იპ „მუნიციპალური ინსპექციის“ მიერ 2023 წელს, 2024 წლის იანვარ-აპრილში გაწეული მუშაობის და 2024 წლის დასაფინანსებელი ღონისძიებებისა და პროგრამების შესახებ წარმოდგენილი ინფორმაცია ცნობად იქნას მიღებული.

მოისმინეს:

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი - ა(ა)იპ „ქუთგანათების სერვისის“ მიერ 2023 წელს, 2024 წლის იანვარ-აპრილში გაწეული მუშაობის და 2024 წლის დასაფინანსებელი ღონისძიებებისა და პროგრამების შესახებ (დანართი ოქმს თან ერთვის).

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, **ბ.მახარაძე:** „დღის წესრიგის მეოთხე საკითხის შესახებ დეტალური ინფორმაციის წარმოდგენას ვთხოვთ ა(ა)იპ „ქუთგანათების სერვისის“ ხელმძღვანელს, ბატონ მალხაზ ბასილაძეს“.

ა(ა)იპ „ქუთგანათების სერვისის“ ხელმძღვანელ, მალხაზ ბასილაძე“: „წელს ჩვენი საწყისი ბიუჯეტი იყო 4 მლნ ლარი, თუმცა შადრევნების გადმოცემის შემდეგ გახდა 4871 ათასი ლარი. ძირიტადი ხარჯია ელექტროენერგიის ხარჯი, რომელიც 2,4 მლნ ლარს შეადგენს. 2023 წელს ბიუჯეტი გვქონდა 3870 ათასი ლარი, საიდანაც გარეგანათების ელენერგიაზე დაიხარჯა 2161 ათასი ლარი“.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

კომისიის წევრი მ.ნიჟარაძე: „ცენტრალურ მოედანზე არსებულ შადრევანს თქვენ ემსახურებით?“

ა(ა)იპ „ქუთგანათების სერვისის“ ხელმძღვანელ, მალხაზ ბასილაძე“: „დიახ“.

კომისიის წევრი მ.ნიჟარაძე: „ნინოშვილის ქუჩაზე არსებულ დიდ სკვერში შადრევანსაც თქვენი ააიპ-ი ემხასურება?“

ა(ა)იპ „ქუთგანათების სერვისის“ ხელმძღვანელ, მალხაზ ბასილაძე“: „ეს ობიექტი ჯერ არ გადმოუციათ. დეტალებია დასაზუსტებელი და გადმოცემის პროცესი დაწყებულია“.

კომისიის წევრი ტ.ლილუაშვილი: „ცენტრალურ მოედანზე არსებული შადრევანი რა პერიოდულობით იწმინდება?“

ა(ა)იპ „ქუთგანათების სერვისის“ ხელმძღვანელ, მალხაზ ბასილაძე“: „თვეში ერთხელ. გაწმენდის დროს წყლის ხარჯი არის ძალიან დიდი. 1 დღე უნდა დაცლას და 1-2 დღე - გაწმენდას“

კომისიის წევრი ტ.ლილუაშვილი: „ამ ობიექტს ყურადღება უნდა მიექცეს, რამდენადაც ტურისტების ინტერესს იწვევს“.

კომისიის წევრი მ.ჭოხონელიძე: „უსაფრთხოება თუ არის დაცული, რომ თბილისში მომხდარი უბედური შემთხვევის მსგავსი რამ არ მოხდეს?“

ა(ა)იპ „ქუთგანათების სერვისის“ ხელმძღვანელ, მალხაზ ბასილაძე“: „დიახ, სამმაგი დაცვა გვაქვს ელენერგიაზე და წყალზე“.

კომისიის წევრი გ.კილაძე: „ყოფილი მინისტარის ქარხნის მიმდებარედ არსებული ხიდის ქვეშ რთული მდგომარეობაა განათების მხრივ. ეს სივრცე მთლიანად ჩაბნელებულია და გარკვეული საფრთხის შემცველიცაა. წელს ეს ალბათ ვერ მოხერხდება, მაგრამ იქნებ მომავალ წელს მაინც გავითვალისწინოთ ამ ტერიტორიის განათება“.

ა(ა)იპ „ქუთგანათების სერვისის“ ხელმძღვანელ, მალხაზ ბასილაძე“: „პრობლემის მოგვარება პირველ რიგში ინფრასტრუქტურის სამსახურიდან უნდა დაიწყოს. საჭირო იქნება პროექტი და არასტანდარტული ბოძების დამონტაჟება. ჩვენ მხოლოდ სტანდარტულ ბიძებს ვამონტაჟებთ. 2016 წელს იყო პროექტი ამ ადგილთან დაკავშირებით, რომლის ღირებულება იყო 220 ათასი ლარი. ალბათ ახლა ეს თანხა არ იქნება საკმარისი“

კომისიის თავმჯდომარე, ბ.მახარაძე: „ამ ეტაპზე იქნებ დაახლოებით მაინც გამოვიყვანოთ პროექტის ღირებულება, 8 წელია გასული და სხვა ციფრი გვექნება ალბათ. შემდეგ ვიმსჯელებთ ეკონომიკის და ქონების მართვის კომისიასთან ერთად და შესაძლებელია მოვახდინოთ საკითხის ინიცირება“.

კომისიის წევრი ე.არჩაია: „აეროპორტიდან მომავალი გზის დიდი მონაკვეთი ჩაბნელებულია და იქნებ ამის მოგვარებაზეც ვიფიქროთ“.

კომისიის წევრი ტ.ლილუაშვილი: „მთელ მონაკვეთზე ერთბაშად გართულდება, თუმცა მიღწეულია შეთანხმება იმის შესახებ, რომ ქვიტირიდან დაქყებული გაკეთდება მაღალი ტროტუარები და ახალი გზა. ამასთან, დაშლილი ავტომობილები სხვა ლოკაციაზე გადავა“.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა **ბაქარ მახარაძემ** დღის წესრიგის მეოთხე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარეს კომისიის წევრებმა.

მომხრე - 8, წინააღმდეგი - არც ერთი.

ღია კენჭისყრით **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

ა(ა)იპ „ქუთგანათების სერვისის“ მიერ 2023 წელს, 2024 წლის იანვარ-აპრილში გაწეული მუშაობის და 2024 წლის დასაფინანსებელი ღონისძიებებისა და პროგრამების შესახებ წარმოდგენილი ინფორმაცია ცნობად იქნას მიღებული.

მოისმინეს:

დღის წესრიგის მეხუთე საკითხი - შპს „ქუთაისის მე-4 შერეული პოლიკლინიკის“ მიერ 2023 წელს, 2024 წლის იანვარ-აპრილში გაწეული მუშაობის და 2024 წლის დასაფინანსებელი ღონისძიებებისა და პროგრამების შესახებ (დანართი ოქმს თან ერთვის).

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ბაქარ მახარაძე:** „დღის წესრიგის მეხუთე საკითხის შესახებ დეტალური ინფორმაციის წარმოდგენას ვთხოვთ შპს „ქუთაისის მე-4 შერეული პოლიკლინიკის“ ხელმძღვანელს, ქალბატონ ნინო ჩალაძეს“.

შპს „ქუთაისის მე-4 შერეული პოლიკლინიკის“ ხელმძღვანელი ნ.ჩალაძე: „2023 წელს ჩვენმა ფაქტიურმა ბიუჯეტმა 1064 ათასი ლარი შეადგინა. ძირითადი ხარჯია შრომის ანაზღაურება, თუმცა შარშან შევიძინეთ დაახლოებით 60 ათასი ლარის აპარატურა. გასული წელი იყო მოსამზადებელი პერიოდი. ძალიან მკაცრი და გაუთვალისწინებელი რეგულაციები მოგვდის ჯანდაცვის სამინისტროდან. დაახლოებით 2 კვირაში უნდა მივიღოთ ISO სტანდარტი. ვმუშაობთ საერთაშორისო ორგანიზაციებთან“.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

კომისიის წევრი გ.კილაძე: „როგორც მახსოვს, შარშან ამ პოლიკლინიკას შევპირდით, რომ მესამე სართულის რეაბილიტაციაში დავეხმარებოდით. რა გაკეთდა ამ კუთხით?“

შპს „ქუთაისის მე-4 შერეული პოლიკლინიკის“ ხელმძღვანელი ნ.ჩალაძე: „ამ ეტაპზე ვამჯობინებთ ჯერ პირველი სართულის რეაბილიტაციას. უკვე გამოვლენილია ტენდერში გამარჯვებული და დაიწყება სამუშაოები“.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა **ბაქარ მახარაძემ** დღის წესრიგის მეხუთე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარეს კომისიის წევრებმა.

მომხრე - 8, წინააღმდეგი - არც ერთი.

ღია კენჭისყრით **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

შპს „ქუთაისის მე-4 შერეული პოლიკლინიკის“ მიერ 2023 წელს, 2024 წლის იანვარ-აპრილში გაწეული მუშაობის და 2024 წლის დასაფინანსებელი ღონისძიებებისა და პროგრამების შესახებ წარმოდგენილი ინფორმაცია ცნობად იქნას მიღებული.

ამით კომისიის ოცდამეცხრე სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე

ბაქარ მახარაძე